KA030191609525317

№ 01-958 18 / იანვარი / 2017 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი)
უფროსის ნანა ქავთარაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 23-27 იანვარს, იტალიაში ქ. ტურინში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ოფისის ორგანიზებით ტარდება სუბ-რეგიონალური კონფერენცია ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე.

კონფერენციაზე განიხილება ახალგაზრდების დასაქმებისა და მათი კარიერული განვითარების საკითხები. ასევე, გათვალისწინებულია იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, სადაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ ხორციელდება პროექტები ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისათვის. კონფერენციის დღის წესრიგი ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების მხრიდან პრეზენტაციებს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის სფეროში არსებული პოლიტიკისა და ანალიზის შესახებ. ასევე, დაგეგმილია რეკომენდაციების შემუშავება ახალგაზრდების შემდგომი დასაქმების მიზნით.

კონფერენციის ფარგლებში, მონაწილეებს მიეცემათ შესაძლებლობა, რომ გაეცნონ პარტნიორი ქვეყნების დასაქმების სამსახურების სტრუქტურას, მუშაობის მეთოდებს, დამსაქმებლებთან თანამშრომლობისა და ურთიერთობის ასპექტებს, მომხმარებლებთან მუშაობის პროცედურებს, მოქმედ დასაქმების პროგრამებს, სოციალურ შემწეობაზე (სახელმწიფო გასაცემელზე) დამოკიდებული ბენეფიციარების გააქტიურების პოლიტიკასა და მათ ინტეგრაციას შრომით ბაზარზე.

მიმწვევი მხარე ფარავს მგზავრობის, სასტუმროსა და კვების ხარჯებს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს ქალბატონი ელზა ჯგერენაიასთვის შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმება მიმდინარე წლის 23 იანვრიდან 27 იანვრის ჩათვლით დღიური ნორმის 30 პროცენტის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

დანართი:

1. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის წერილი;

2. დამატებითი ინფორმაცია მივლინების ხარჯების დაფინანსების თაობაზე:

3. მოწვევის წერილი;

4. ბილეთის ჯავშანი;

პატივისცემით,

სამინისტროს აპარატის (დეპარტამენტი) უფროსი ნანა ქავთარაძე